საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3069
14/07/2025

3069-01-2-202507141511

ფეისბუქ გვერდის „დილსი.dilsi“
წარმომადგენელს ნათია სიჭინავას (პ/ნ 48001025609)

მის: ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე 56-ე ქუჩა N7
ელ.ფოსტა: natiasichi000@gmail.com
ტელეფონი: 558 0, 555 ;

ქალბატონო ნათია,

გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 8 მაისის №04/497 ბრძანებით, „მოქალაქე - განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის- ფიზიკური პირის ნათია სიჭინავას (პ/ნ 48001025609) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

„საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2025 წლის 8 მაისის №04/497 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში **ჩართო მოქალაქე ის (პ/ნ 2025 წლის 10 ივლისის №01/4124** განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე **5 (ხუთი) სამუშაო** დღის ვადაში მოგვაწოდოთ

თქვენი პოზიცია **მოქალაქე** (პ/ნ ---) **2025 წლის 10 ივლისის №01/4124** განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ და „გ$^1$“ ქვეპუნქტებისა და კანონის 34-ე მუხლის 4$^1$ პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოვაჭრეს დააკისროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ამ ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში მოვაჭრის მიერ იმავე ქმედების ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობაა 1 000 ლარი.

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და პროცედურის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

დანართი: „39“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE
კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/497
08.05.2025

# ბრძანება

497-01-4-202505081550

**მოქალაქე** **განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე**

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის" მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

**ვბრძანებ:**

1. მოქალაქე (პ/ნ , 2025 წლის 6 მაისის №01/2841 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრის ფიზიკური პირის ნათია სიჭინავას (პ/ნ 48001025609) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**საფუძველი:** სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 8 მაისის №03/607 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი თურმანიძე

თავმჯდომარე - მ.შ.